

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
დავით ბუზალაძის მიერ გაწეული მუშაობის  
ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ანგარიშს გასული 2014 წლის 1 აგვისტოდან დღემდე:

ვარ ჭიათურის მუნიციპალიტეტის, ხვაშითის თემის მაჟორიტარი დეპუტატი, „ქართული ოცნება-ერთობა“ წევრი და ასევე ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი.

უფლებამოსილების ცნობიდან დღემდე სისტემატიურად ვაწარმოებ შეხვედრებს ხვაშითის თემის მოსახლეობასთან, სადაც უამრავი პრობლემაა, თუმცა ძირითად პრობლემას წარმოადგენს სოფლის და საუბნო გზების აღდგენა - რეაბილიტაცია. მოხდა სოფლის რამდენიმე უბანში გზის მოხრეშვა, თუმცა ხვაშითის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახრეშია და ზოგჯერ მოსაბეტონებელი საუბნო გზები კერძოთ ზედა ჭალოვანში, კვახაჯელეთში გზებს ესაჭიროება მოხრეშვა, ხვაშითის-ვაკევისის მიმართულებით, რთული რელიეფური პირობების გამო ესაჭიროება ბეტონის გზის დაგება და გზის ნაწილი მოსახრეშია. ასევე თემში არიან სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას. შეძლებისდაგვარად დავეხმარე კონკრეტულ პიროვნებებს ამ კუთხით პრობლემების მოგვარებაში, თუმცა არიან ოჯახები რომლებიც საჭიროებენ დახმარებას აღნიშნული მიმართულებით.

ვმონაწილეობდი სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, სოფლის კრებებში პრიორიტეტების გამოკვეთაში, ჩამოვაცალიბე პრიორიტეტების ნუსხა, რომელიც საკრებულოს შუამდგომლობით გადაეცა აღმასრულებელ ხელისუფლებას და შესაბამის სამსახურებთან ერთად უშუალოდ ჩავერთვები სოფლის პროგრამების პრიორიტეტების დაგეგმვის პროცესში.

დაინტერესებული ვარ 2016-2017 წლების პრიორიტეტების ჩამონათვალში ჩაისვას ხვაშითის თემის გზების პროექტირება რეაბილიტაცია.

გასული წლის განმავლობაში, მოსახლეობასთან ურთიერთობის საფუძველზე დაგროვილი გამოცდილებით, როგორც საკრებულოს წევრი და ხვაშითის თემის მაჟორიტარი დეპუტატი დარჩენილ უფლებამოსილების ვადაში, შევძლებ უფრო მეტად ნაყოფიერი და ეფექტური იყოს ჩემი მუშაობა ხვაშითის თემში პრობლემების მოგვარებისას.

საკრებულოს წევრი  /დავით ბუზალაძე/